საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები
2020

01.10.2021

www.geostat.ge

01.10.2021

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2020 წელი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.9 პროცენტით გაიზარდა და 114.3 მილიარდი ლარი შეადგინა.

კლების ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი. 2020 წელს მისი მოცულობა 46.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 2.7 პროცენტით ჩამორჩება გასული წლის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება წლების მიხედვით



2020 წელს მთლიანი ბრუნვის 58.3 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.9 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 23.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.3 პროცენტი, საშუალოზე - 27.1 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 32.5 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2020 წელი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2020 წელს 65.1 მლრდ. ლარი, ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 41.1 მლრდ. ლარი შეადგინა. ორივე მაჩვენებელი უმნიშვნელოდ ჩამორჩება გასული წლის მაჩვენებლებს (0,4 და 0,1 პროცენტი).

2020 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 703.9 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 7,0 პროცენტით ჩამორჩება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41.5 პროცენტი ქალია, ხოლო 58.5 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 37.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 41.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 656.3 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით - 6.5 პროცენტით ნაკლები). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 9 828.1 მლნ. ლარით განისაზღვრა.

2020 წელს საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 222.9 ლარს გაუტოლდა (გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 61.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 952.0 ლარი (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 87.4 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 328.9 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 419.6 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 991.6 ლარი.

2020 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 37.9 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 28.1 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.5 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 7.1 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.1 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.1 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 9.1 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2020 წელი



2020 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (23.0 პროცენტი) და მშენებლობა (19.6 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (17.6 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.0 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 30.6 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2020 წელი



2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 28.0 პროცენტი, 12.7 პროცენტი და 10.7 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.2 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (9.4 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (4.5 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2020 წელი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წელი	2020 წელი	2020 წლის ზრდის ტემპი 2019 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**109 024.3**	**114 348.5**	**104.9**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	498.4	653.0	131.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	841.6	1 219.4	144.9
დამამუშავებელი მრეწველობა	10 422.5	10 911.8	104.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	3 458.8	3 549.7	102.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	282.4	256.8	91.0
მშენებლობა	8 263.2	8 157.7	98.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	42 955.4	43 355.6	100.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	6 031.7	5 778.4	95.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2 089.1	1 232.4	59.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	1 132.4	409.9	36.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	956.7	822.6	86.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 894.0	1 892.9	99.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 520.0	1 276.1	84.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 643.3	1 450.7	88.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 410.0	715.7	50.8
განათლება	425.6	450.3	105.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 147.3	1 152.9	100.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	25 993.0	32 187.0	123.8
სხვა სახის მომსახურება	148.1	108.1	73.0

01.10.2021

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2020 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წელი	2020 წელი	2020 წლის ზრდის ტემპი 2019 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**47 494.7**	**46 227.3**	**97.3**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	616.9	7 26.2	117.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	881.4	12 29.2	139.5
დამამუშავებელი მრეწველობა	10 287.3	10 654.8	103.6
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 658.3	16 43.9	99.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	368.3	330.5	89.7
მშენებლობა	8 910.4	9 074.2	101.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	7 945.3	8 156.5	102.7
ტრანსპორტი და დასაწყობება	4 621.3	4 175.3	90.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2 101.1	1 197.6	57.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	1 145.2	430.9	37.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	955.9	766.7	80.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 844.3	1 801.2	97.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 522.1	1 264.4	83.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 446.2	1 285.8	88.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	971.9	575.3	59.2
განათლება	450.9	476.2	105.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 943.3	1 991.5	102.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	1 779.7	1 529.4	85.9
სხვა სახის მომსახურება	146.0	1 15.2	78.9

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2019 წელი	2020 წელი	2020 წლის ზრდის ტემპი 2019 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**756 852**	**703 874**	**93.0**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	12 753	12 286	96.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 830	10 084	114.2
დამამუშავებელი მრეწველობა	91 506	8 9214	97.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 114	15 861	104.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 519	14 599	100.6
მშენებლობა	69 956	66 146	94.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	209 953	197 335	94.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	61 163	56 828	92.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	48 634	31 823	65.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	22 632	12 545	55.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	26 002	19 278	74.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	24 764	24 513	99.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	19 277	18 184	94.3
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	27 007	23 445	86.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	27 739	20 210	72.9
განათლება	23 324	22 203	95.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	74 885	75 618	101.0
ხელოვნება გართობა და დასვენება	19 002	17 770	93.5
სხვა სახის მომსახურება	8 425	7 755	93.0

რეგიონების მიხედვით **მთლიან ბრუნვაში** ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 77.0 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 4.9 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.9 პროცენტი
- იმერეთი – 3.8 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.0 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის **მთლიან გამოშვებაში** ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 61.6 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.3 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 8.4 პროცენტი
- იმერეთი – 6.0 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.9 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 63.0 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.7 პროცენტი
- იმერეთი – 7.5 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

● საქმიანობის სექტორები K O T U

● 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

● ძირითადი საქმიანობის შესაბამისად

● ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

2. შპს „საქართველოს ფოსტა“

3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

4. სს „სილქნეტი“

5. სს „საქართველოს რკინიგზა“

6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

7. სს „საქენერგორემონტი“

8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
II	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217) E-maIIl: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge